# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ, იგ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ. ქვეით წვრილ ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე შაური.

თუ საჭიროებს მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკუდ არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

საზაფხულო თეატრი
ორშაბათს 8 მარტს
სასარგებლოდ
რამდენიმე ღარიბ მოსწავლეთათვის, რომელთაც მოსპობილი აქვთ საშუალება სწავლის გაგრძელებისა გამართული იქნება

**კონცერტი**

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარელისა, ანდრონიკაშვილისა, დავიდოვისა და მაჭავარიანისა. ბ.ბ. სტაროჟუსკი, ტორიანი, თარხნიშვილი, კ. ყიფიანი, კ. მესხი, ვ. ალ.-მესხიევი, ა. მოხევე ავ. ცაგარელი და სხვ. (4—3)

# ტელეგრამა

(„საკავკასიოს ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი; 4 მარტს. „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული დებულება იმის შესახებ, რომ ბერლინში და ვენაში საელჩოების დაწესებაზედ; მეორე სეკრეტრის თანამდებობის დანიშნვა შეკინის (ჩინეთის) საელჩოში და საშუალ-აზიის საელჩოებში.

„მმართებლობის მოამბეშივე" დაბეჭდილია მინისტრების კომიტეტის გარდაწყვეტილება შესახებ კავკასიის მხრის ახალ გამგეობისა; ამ რეფორმების თაობაზე მოსალაპარაკებლად ტფილისში ცალკე კომისია შეგროვდება.

ჩერნოგორიის მთავრობამ ჩამოართვა თოფ-იარაღი ყველა იმ აჯანყებულებს, რომელნიც ჩერნოგორიის სამზღვარზე გადადიან.

სერბიის კოროლმა და კოროლევამ რუსის დეპერლის ჩერნიაევის მილოცვაზედ მისწერა, რომ მადლობს ამ მილოცვისათვის და ახსოვს ის სამსახური, რომელიც იმან გაუწია სერბიას.

ამბობენ, ტფილისო, ვითომც 250 ინტენდანტის პროცესი იქნებაო.

ამბობენ აგრეთვე, რომ „ნავთსნობისა და ცეცხლის-გემების" საზოგადოებას მთავრობა სუფსიდიას მოუსპობსო.

მთავრობა იხილავს მესჩერინოვის წინადადებას, რომ ციმბირში არ გაიყიდოს სახაზინო მამულები.

**პეტერბურღის ბირჟა, 4 მარტს.**

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 96—12 |
| მეორესი — — — — | 91—12 |
| მესამესი — — — — | 91—50 |
| მეოთხესი — — — | 91—12 |
| მეხუთესი — — — | 90— „ |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89—87 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89—87 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89—87 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 8—18 |
| **შინაგანის 5% სესხი ბილეთები:** | |
| პირველი სესხის — — | 216—50 |
| მეორე სესხის — — | 210—50 |
| **100 მანეთი ღირს:** | |
| ლონდონი — | 24— „ პენსი |
| ჰამბურღი — | 204—50 ცენტი |
| პარიჟი — — | 253— „ სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ პფენიგი |

## რა კავშირი აქვს ეკონომიურს წყობილებას გონებითს მდგომარეობასთან და რას უფრო ვსაჭიროებთ?

(გაგრძელება *)

მეცადინეობა ჩვენის მხრით კეთილის ცხოვრების ერთის მხრის გაუკეთესებით ბედნიერების თუ კეთილ-დღეობის ქვეყანაზე ჩამოგარდნაზედ ჰგავს იმას, რომ საშუალ საუკუნოებში და ეხლაც ბევრნი ცდილობდნენ მარტო ყმაწვილების გონებითს აღზრდაზედ და სხეულს-კი სტოვებდნენ უყურადღებოდ, თითქო ეს სრულიად საჭირო არ იყო კაცის ბედნიერებისთვის,—ან იმას, რომ ჩვენ ყმაწვილებს ვასწავლოთ წერა და კითხვას-კი დაწერილისა თუ ბეჭდურისას თავი დავანებოთ და უთხრათ ყმაწვილებს, რომ თქვენ ეხლა სრულიად გასწავლილნი ხართო,—ან კიდევ, ჩვენ რომ შევეცადნეთ დიდის ფეხების აღზრდას და სხვას ჩვენს აგებულებას კი არა ფერი ყურადღება მივაქციოთ; თუმცა მართალია, ჩვენი გვამი სრულიად დაყრდობილია ფეხებზედ, მაგრამ ისიც მართალია, რომ თვით ფეხების სისაღე არის დამყარებული მთელის სხეულის ჯან-მრთელობაზედ.

აგრეთვე ჩვენი ცხოვრებაც: თუნდ რომ ბევრი ცვლილებებიც შემოვიღოთ ჩვენს სამმართველო და სამსაჯულო კანონებში, ჩვენს ჩვეულებებში, და ჩვენი ეკონომიური თუ გონებითი მახინჯობა და უთანასწორობა კი დავსტოვოთ უწინდელს მდგომარეობაში,—ბედნიერი ცხოვრება არ იქნება.

ბევრი მაგალითია ჩვენშიც და სხვაგანაც, რომ კანონის შეცვლას თან არ მოჰყოლია ცხოვრების შეცვლაც; მაგ., ბრეტანიაში გლეხები რომ გაანთავისუფლეს ბატონ-ყმობიდგან, ისინი, მადლობის ბადლად, თავსა სდებდნენ და იარაღს ილებდნენ ბატონების დასაცველად. ჩვენში დიდი ხანია აღკრძალულია საქონლის მოკვლა ჭირ-ნახულში, მაგრამ ეს აღკრძალვა არ მოქმედებს ხალხზე; აღკრძალულია ქრისტეს აქეთ მკითხავებთან და ქადაგებთან საქმის დაჭერა ქრისტიანებისგან, მაგრამ მგონი ამაზე მეტათ არა არის რა ჩვენში გავრცელებული; აღკრძალულია ქრისტეს აქეთ ცოლ-ქმართ უფლების უთანასწორობა, მაგრამ ჩვენებური ქმარი სრული ბატონია, ხშირად მტარვალიც თავის ცოლისა, ის მარტო მას ცხოველურის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ანუ მუშა ხელის, თუ გინდ კარგის ქონების მოსატანათ ირთამს და არა თავის ამხანაგათ; აღკრძალულია კაცთა შორის ურთიერთის დაბრიყვება და გაქელვა, მაგრამ აქამომდე ჩვენი უმეცარი გლეხი გაიძახის:—„მთა და ბარი არავის გაუ-

*) იხ. „დროება" № 46.

---

«დროების» ფელტონი, 6 მარტი

## ქუთათური ამბები

სკანდალი ყოველგან.—„დროების" № 25 და გუბერნატორის დაკითხვა მთავარ-სამართველოიდამ.—სახსნილო „დრამული წარმოდგენანი" და მარხვები.—„სამ მოქმედებიანი" გამოჩენილი მწერლის კონცერტი.—გუბერნატორის „ბრძანება" და უფლება მისდილი თვითმმართველობა.—რას ერჩოდნენ?—ბრძენი ხმოსნის „რჩევა": თვითმმართველობის მოსპობა სასურველიაო.—გაბრძანების წინადადება და თხოვნა.—რას უნდა ვცდილობდეთ?

წრეულს, როგორღაც, სკანდალი ერთობ ხშირად სტუმრობს ამ ჩვენს ქალაქს: საზოგადობრივს ცხოვრებაში გნებავთ თუ სცენაზე ან და გუბერნატორისა და ადგილობრივის თვითმმართველობის შორის—ყოველგან თავი იჩინა იმ უქმობის ღმერთისაგან ნაკურთხმა, და, როგორც ეტყობა, ძალიან მოეწონა აქაური ნიადაგი და უფრო მკვიდრად დასახლებას აპირებს.

ჩემს მკითხველებს ეხსომებათ „დროების" 25 №-ში აწერილი საზიზღარი მოვლენა—ეჭვი არა მაქვს. ახლა უნდა ვაუწყო, რადგანაც ვიცი მისი ცნობათმოყვარეობის ამბავი განსაკუთრებით ამისთანა შემთხვევებში,—რომ ამ აწერილობის გამო გუბერნატორს მთავარ-სამმართველოდამ მოუვიდა მოწერილობა, მოხელეთა სამთავროში დაკითხვად (запросъ) წოდებული, . . . . . . . . . . . . . კეთილი და პატიოსანი, რომ ჩვენი წერილები მისგან შეუნიშნველად არ რჩება; კეთილი და პატიოსანია, რომ კეთილსა და პატიოსნებას ასე მიხდილს საქმეს მთავარ სამმართველო ამ გვარს ყურადღებას აქცევს.

როგორც უწყით, რუსეთის იმპერიასა შინა წრეულს ყოველ გვარი დრამმატიული წარმოდგენა მართლმადიდებელთათვის შაბათობით და ათორმეტეულს მარხვებში აღკრძალულ იქმნა, იმიტომ რომ დრამმატიული ხელოვნება თურმე ერთ ნაირი სახსნილო საგემებელი ყოფილა, როგორც დაამტკიცეს რუსების ღვთის მეტყველ მეცნიერებმა. ამბობენ, ამის დამტკიცების დროს ეს მეცნიერნი იმასაც ილებდენო მხედველობაში, რომ ხალხი უმტკიცესად დაეყენებინა ქრისტეს მცნების გზაზეო. —კეთილი. ყველა ჩვენგანი ემორჩილება—და ვინ არ დაემორჩილება—ესდენ კეთილის განზრახვით მოხდენილს განკარგულებას და სრულიად დავივიწყეთ თითქმის ამ დიდ-მარხვაში თეატრის გზა. ანაზდად, ქუჩებში თვალი მოვკარით უზარ-მაზარს ქართულ-რუსულს განცხადებას, რომლის ნახევრის პირსაც, მისის უცნაურობის გამო აქვე მოგიყვანთ:

съ дозволенія начальства.
№ თებერვალს 1882 წელსა
ხარაზოვის თეატრში
იქმნება წარმოდგენილი
**კონცერტი**
სამ მოქმედებიანი
გამოჩენილი მწერლის
გ. სკანდარნოვისაგან.

1) ყველა ქვეყნის ქუდს, რომელიც უჩვენებს(?) უ. მროპპელო.

2) იმღერებს სხვა-და-სხვა სიმღერებს გ. სკანდარნოვი საქართველოს საზანდრით: ა) ქუცუნის ხმაზედ, ბ) სულელი ადვოკატი, გ) კალიების სიმღერა.

პირველ წაკითხვის თანავე კი ვიფიქრე, ეს უთუოდ ვიღაც შარლატანია, ჩვენი ჯიბისაგან კანონიერად ფულის მოპარვა ენდომინება, თორემ რომელი გ. სკანდარნოვია გამოჩენილი მწერალი (ისიც სამ-მოქმედებიანი!), რატომ არ გამიგია-მეთქი. მაგრამ მერე ვთქვი, ალბად ეს კონცერტი უთუოდ კარგი სამარხვოა და „ქრისტეს მცნების გზაზე უმტკიცესად დამყენებელი იქნება" თორემ სახსნილო რომ იყოს, ან გ. სკანდარნოვი (სამ-მოქმედებიანი) „ავლაბრის პოეტი" გამომდგარიყო, მაშინ ჩვენი აგიევსკი, რომელიც აქაური დრამმატიული წრის აფიშებს სასტიკს ცენზურას უჭერს,—ქე როგორ მისცემდა წარმოდგენის ნებას-მეთქი. ამ თავის ბჭო-

სწორებია!“ აღკრძალულია კანონით უწესო სარგებლის აღება, მაგრამ დღევანდლამდის ვალის აღება და გადახდა ისევე ძველს კვალზედ მიდის.

ამ მხრით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ცხოვრებამ ფერი იცვალა, უფრო განათლებული და მაღალის ხარისხის სამმართველოები და კანონები მიიღო, მაგრამ შინაარსი-კი ისევ ის არის.

ერთის სიტყვით, უნდა ვსთქვათ, რომ კეთილ-დღეობა და ეკონომიური თანასწორობა, მაღალის ხარისხის კანონები და ადათები უფრო ნაკლები მეგობრები არიან, სანამ ესევე კეთილ-დღეობა და საზოგადო გარეშემორტყმულნი გარემოებანი და განსაკუთრებით გონებითი განვითარება.

თუ რა გავლენა აქვს გონებითს სისაწყლეს ხალხის ცხოვრებაზედ და მაშასადამე ჩვენი ძალა და მხნეობა უმეტესად რაზე უნდა იყოს მიქცეული—ამის დამტკიცებას და გარკვევას ჩვენ მაგალითებით შეუდგებით. ჩვენ არ გვინდა ვსთქვათ, რომ ეკონომიურს უთანასწორობას, ცუდს სოციალურს კანონებს არა ჰქონდეს გავლენა ხალხის ბედნიერებაზე თუ უბედურებაზე; ჩვენ ვიცით, რომ ყველა მოვლინებანი ზედმოქმედებენ, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გვინდა მარტო განვიხილოთ დამოკიდებულება ეკონომიურის სიღარიბისა გონების სიღარიბესთან და დავამტკიცოთ, რომ არავითარი წინწაწევა და გაუკეთესება, არც მმართებლობის მხრივ და არც ხალხის მხრივ გონების განუვითარებლად არ შეიძლება.

მოგეხსენებათ, რომ ვიწრო წაღები ხშირად ისე უფუჭებენ, ისე დაუბებრებენ ადამიანს ფეხებს, რომ შემდეგში მარტო სხვა გვარის ფეხსაცმელის ჩაცმით ჩვენ ველარ ვიბრუნებთ მრთელს და ლამაზს ფეხებს; მოგეხსენებათ, რომ გამოჩენილი რანგელი ჰფიქრობდა,—რქები და მსხვილი ძვლები უვარგისნი არიანო იმ საქონლისთვის, რომელნიც ინიშნებიან საყასპოთ, ამისთვის გააჩინა ურქო საქონელი და შეუმცირა ძვლები, მაგრამ შემდეგში ისინი ველარ დაუბრუნდნენ მგონი თავიაანთ წინა პრებს მარტო იმ მიზეზების შეცვლით, რომლითაც იმათ მოაშორა რქები და ზოგიერთა ძვლები; მოგეხსენებათ, რომ ძაღლი როდესაც მიდგება, შემდეგ ფეხების ბლოტნით მიწის მიყრას მიყრას დაუწყებს თავის მინადგომს; ეს ჩვეულება აქვს ძაღლს მიღებული იმ დროს, როდესაც ის სცხოვრებდა ველურად ხვრელებში, როგორც ტურა, მაჩვი და სხ. მხეცები, და საჭირო იყო საწოლის ადგილის სიმშრალე, მაგრამ ეხლაც კი—თუმცა ისტორიას არ ახსოვს ძაღლის მოშინაურება, და მაშა სადამე იმ მიზეზის შეცვლას, რამაც გამოიწვია ეს პირველი ჩვეულება,—ძაღლი მაინც არ ივიწყებს თავის უსარგებლო ჩვეულებას. მოგეხსენებათ, რომ დიდი ხანია, რაც ადამიანი ტანისამოსს შეჰჩვევია, მაგრამ მისს ტანზედ ბალანი არ ილევა; მოგეხსენებათ, რომ სიცივით ავათ გამხდარს კაცს მარტო სიცხეში შეყვანა არ გაანთავისუფლებს, საჭიროა სხვადა-სხვა წამლების დახმარებაც.—აგრეთვე, თუმცა აწინდელი უბედური ცხოვრება ხალხის უმეტასობისა არის ეკონომიურს ნიადაგზედ ამოცენებული და დამყარებულიც, მაგრამ მარტო ამ ეკონომიურის წყობილების შეცვლა არ გააბედნიერებს ხალხს, როგორც ზოგიერთები ჰფიქრობენ; აქ საჭიროა სხვა წამლებიც და მათ შორის უპირველესად—სწავლა.

თუ რა გავლენა აქვს სწავლას და უსწავლელობას კაცის ცხოვრებაზედ ამის ასახსნელად მოვიყვანთ ისტორიულს მაგალითებს.

ჩვენ ვიცით ისტორიიდგან, რომ უპირველესი მიზეზი Иტალიის დიდებისა საშუალო საუკუნოებში იყო ის, რომ ბერძნებმა პირველად აქ იშოვნეს თავ-შესაფარი ადგილი,—რომ პირველად აქ დაიწყეს ბერძნების მწერლობის შესწავლა,—რომ პირველად აქ გააკეთეს ბერძნული წიგნების წიგნთ-საცავები. ბერძნებმა, ანუ მათმა მწერლობამ პირველად Иტალიის ცხოვრებაში შეიტანა კრიტიკული შეხედულების ტალღები და ჩააფიქრა იტალიელნი იმაზედ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, რომ ეცხოვრად ისე, როგორც მოითხოვდა კაცის ბუნება,—თუ რა უნდა ექნათ, რომ პაპისათვის და თავად-აზნაურებისთვის იმდენი არ ეძლიათ ხარჯი, რამდენსაც ართმევდნენ. Эი ამ გარემოებამ დაჰბადა Иტალიაში ისეთნი პირნი, როგორიც იყვნენ Дანტე, პეტრარკი და ბოკკაჩიო, რომელთაც ეპყრათ დროშა Иტალიის დიდებისა.

შემდეგ Иტალიიდგან დაიწყო გავრცელება ბერძნების მწერლობამ სხვა სახემწიფოებში და ყოველგან შეიტანა კრიტიკული შეხედულება ყოველ ეკონომიურ და სოციალურ წესებაზე. პირველად ეს განათლების ტალღები ჰხვდა Иნგლისს და აქაც გამოიწვია ჯერეთ გონებითი მოძრაობა და შემდეგ განხორციელებულიც. ამ მწერლობის გავლენით Иნგლისში იბადება მომფიქრებელი საზოგადოება, რომელიც სცდილობს დაამტკიცოს ყოველ გვარი ბოროტ-მოქმედება სასულიერო პირებისა, რისთვისაც ითარგმანება ინგლისურს ენაზე სამღთო წერილის წიგნები. შემდეგ ესევე საზოგადოება ჰგზავნის თავის წევრებს სოფელ-სოფელ და ავრცელებს ინგლისურს ენაზედ გადათარგმნილს საღმთო წერილის წიგნებს. ამ საშუალებით დაბალი ხალხი ტყობულობს, რომ სასულიერო პირებს არ ეკუთვნის დიდრონი მამულების დასაკუთრება, რომ რომის პაპი სრულებით არ არის ქრისტეს მოადგილე, რომ ის უბრალო ეპისკოპოზია. შემდ
ამნაირივე შეხედულება გავრცელდ
ხალხში შემდეგ—თავად-აზნაურებ
ბოლოს კიდეც იწყება მოძრაო
ხალხში და „ჯონ ბული“ გამოდ
საბრძოლველად. თუ რა შედეგი ჰქონ
და ამ მოძრაობას, რაც ხანი გადიოდ
და სად მიიყვანა Иნგლისი, ამას, მგო
ნი, ყველა ცხადათ ვხედავთ და არ
ღირს ამაზე ვილაპარაკოთ.

ამისთანას-ვე მაგალითს წარმოგვიდ
გენს ბოგემია- აქაც ჯერ ხალხის გო
ნება ილვიძებს და იძენს სიძულვილ
ორის დასსისას—ნემეცებისა და თ
ვიაანთ თავად-აზნაურებისასა და შე
დეგ შიჟკას და პროკოპების წი
მძღოლობით კიდეც იარაღით ცდ
ლობენ თავიდამ მოიშორონ მტა
ვალნი.

გერმანია კიდენ უკეთესს მაგა
ლითს წარმოადგენს: აქაური მოწ
ნავე საზოგადოება რამწამს ტყობუ
ლობს თანამედროვე სახემწიფოს წყო
ბილების უვარგისობას, მაშინათ
ხალხს კი არ აჯანყებს, არამედ ჰხსნ
უნივერსიტეტებს და მრავალს დაბალ
სასწავლებლებს; ასწავლის ხალხს ჯე
კითხვას და გაგებას კარგისას და ავ
სას და შემდეგ კიდევ მიუძღვის წ
თავად-აზნაურებთან და პაპასთ
საბრძოლველად.

ამავე მაგალითს, თუ ბევრად არ
ცოტაც არის, ვპოულობთ ჩვენს ი
ტორიაშიაცა. ჩვენი ქვეყანა 7—1
საუკუნემდის დრო-გამოშვებით ე
რათ არაბებს, რომელნიც განათლ
ბით კარგა მაღლა იდგნენ; ამ
ქვეშევრდომობის დროს ჩვენში ი
ყება ლიტერატურული მოძრაობა
თანაც მოსდევს პოლიტიკური ზრდ
რომლებსაც ეტყობა არ უშლიდ
არაბნი; ბოლოს კიდეც გამოვდივა
მათს ხელიდგან და ჩვენ ვადგებ
ძრიელს სახელმწიფოს და მაღალს ხ
რისხოვანს ლიტერატურას. შემდ
13—15 საუკუნემდის ვუპყრივარ

---

ბის ყოყმანის წყალობით მოხსენებულს წარმოდგენაზე ცოტათი დამაგვიანდა, მაგრამ წარმოდგენაზე მაინც ვერ მივუსწარი: თურმე „სამ-მოქმედებიანი გამოჩენილი მწერალი“ ერთი იმ შარლატანთაგანი ყოფილა, რომელთაც არტისტული არა იციან რა გარდაკადნიერობის და სინდის-უმხილებლად ატყუებენ გულ-უბრყვილს საზოგადოებას.

Дარბაზში შესვლისათანავე დავინახე: აღელვებული მაყურებელნი, რომელნიც იგინებოდნენ და ილანძღებოდნენ „ვიღაც ოხერმა ასე როგორ მოგვატყუა, არაფერი სცოდნია და ფულები აგვაფცქვნაო!“ Иყო ერთი მდურვა და ჩოჩქოლი. Эრავინ თავის ადგილს არ იჯდა, ყველა დადიოდა წინ-და-უკან, თითქო ანტრაქტი იყო. Кადნიერი „გამოჩენილი მწერალი“ და ვიღაც ქალი უსირცხვილოდ იდგნენ სცენაზე და რაღაც მუნჯურს (პანტომიმა) ექცეოდნენ. Уცრად წამოვიდა მათს თავ-პირზე სეტყვა დაკუმშული თოვლისა, ხახვის, პრასის, კარტოფილის და სტაფილოსი!

— ძირს, „სამ-მოქმედებიანო მწერალო!“ ძირს! Иსმოდა დარბაზში...

საზოგადოება დაიშალა.

— რათ მისცა პოლიციამ წარმოდგენის ნებაო! რას შვრება პოლიციაო? ჰკითხულობდნენ.

Гუბერნატორის ბრძანებით ქალაქის თვით-მმართველობის გამგეობას წაერთვა უმთავრესი შემოსავლის წყაროები*), სულ 35,971 მანეთი და გადაეცა პოლიციას ქუთაისისას, ამ კოჭლ-ბრუციან-ბებრუხან-ციებ-ცხელებიანთ თავ-შესაფარს!

რატომ? რისთვის? რას ერჩოდენ თვით-მმართველობას, რომ პირველს მისი შესაბამი უფლება წაართვეს და მეორეს კი დაულოცეს: მართალია, ამბობენ, ღუბერნატორმა ამისთანა ახირებული განკარგულება იმიტომ მოახდინაო, რომ პოლიციას და ჯარს დროზედ არ ეძლეოდაო ქალაქის ხაზინიდამ ჯამაგირი და სახლის ფულებიო...

საწყალი გამგეობის დანაშაულობა ის არის სულ, რომ ა) ერთს თვეზე მეტი არასოდეს არ დაუგვიანებია პოლიციისათვის ჯამაგირი და დღეს მართებს მისი 1,632 მან., ბ) და ჯარისთვის მისაცემი ფული დარჩენილა მაზედ—7,067 მან. Эს დანაშაულობა კი მას იმიტომ მოსვლია, ა) რომ ყოველ-გვარი გადასახადი გაჭირვებით იკრიბებიან მოქალაქეთაგან, სხვათა შორის პოლიციის თითქმის სრულიად დაუხმარებლობის წყალობით ხარკის მობოჭვაში; ბ) რომ ხაზინას თავის დროზედ არ უძლევია შესაწევარი ქალაქისთვის; გ) რომ ამავ ხაზინას უსაფუძვლოდ ვადაუხდევინებია ქალაქისთვის (ე. ი. წაუღია ქალაქის კასსიდამ) 8,000 მანეთი, რომლის დაბრუნებას გამგეობა მუდამ ელიტინება, მაგრამ დღემდის ვერ მოსწრებია თხო
ნის ასრულებას.

Эქედამ ხედავთ, რამდენად და
შაული ყოფილა ქალაქის გამგეო
თუ ჩანდისხან პოლიციისთვის ჯა
გირი და ჯარისთვის სახლის ქ
დაუგვიანებია! რჩევამ გადასწყვ
დაწვლილებით მოახსენონ ბ. გუბე
ნატორს ქუთაისის მდგომარეობა
თუ საჭიროდ დარჩა სენატში ი
ლონ.

Чველა გონიერი მოქალაქე სწუ
რასაკვირველია, რომ მისი დედ
ლაქის თვით-მმართველობა ასე ი
რება ეხლა და ბარე ორ-დღეს ი
ბა კიდევ ამისთანა მდგომარეობა
რადგანც იმედი არა აქვთ, ერთი რ
გუბერნატორის წინაშე ქალაქის მდგ
მარეობის დაწვლილებით მოხსენე
რამე გაარიგოს და მეორედ—სენატ
გასაგზავნს საჩივარს რომ მალე ეღ
სოს განხილვა... რამდენიმე საქმე
ნი ქალაქისა ეხლაც ჰდევს გადაუწყ
ტელი ამ უზენაესს დაწესებულ
ში...

*) გარდა ამისა ღუბერნ. ემუქრება გამგეობას, რომ თუ(?) ეს შემოსავალი არ ეყო ჯარს და პოლიციას მაშინ ქალაქის უძრავ მამულებსაც გავყიდიო!

ველურ ხალხს მონღოლებს, რომელთაც არა გაეგებათ-რა და არც არას ზოგავენ. ესენი ყოვლის მხრით გვწყლავენ და კიდეც ბოლოს გვილევენ. მათს შემდეგ ჩვენ ვეღარც ძლიერს სამეფოს ვაარსებთ და ვეღარც მაღალს ხარისხის ლიტერატურას.

ყველა ეს მაგალითები კიდევ იმას გვიმტკიცებენ, რომ კაცობრიობის კეთილ-დღეობას იქ უმატნია, სადაც გონების სიბნელეს პირი ართმევია.

ჭონი

(დასასრული შემდეგ ნომერში.)

## დღიური

სიამოვნებით ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ჩვენი საყვარელი პოეტი თ. აკაკი წერეთელი ამ მოკლე ხანში ქართულ ლექციების წაკითხვას აპირებს. საგანი ლექციისა—**უწინდელი და ახლანდელი ქართველი ქალი**—ისეთი საინტერესოა, თ. აკაკიმ ისეთის „ტკბილ-ქართულით“ იცის საუბარი, რომ, დარწმუნებული ვართ, იმის ლექციებს ბევრი მსმენელი მოელის.

* * *

მოგეხსენებათ, რომ, ბაქოს მაგიერად, ადრე შემახია იყო გუბერნიის ქალაქად; ის გააუქმეს და ბაქო გახადეს გუბერნიის ქალაქად იმიტომ, რომ ერთობ ხშირი მიწის-ძვრა იცის იქ და რამდენჯერმე თითქმის მთელი ქალაქის სახლები დაინგრა.

ახლა, როგორც გაზ. „კავკაზში“ იწერებიან, შემახიის მცხოვრებთ განზრახვა აქვთ, ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევის დროს დეპუტაცია გაგზავნონ მოსკოვში და სთხოვონ, რომ ისევ შემახია გახადონ გუბერნიის ქალაქად. თავის თხოვნაში შემახელებს, სხვათა შორის, ის საბუთები მოჰყავთ, რომ ჩვენს ქალაქში დიდი ხანია აღარ ყოფილა მიწის ძვრაო და საფიქრებელიაო, რომ აღარც შემდეგში მოხდესო(?); სახლების აშენება ისე შეიძლებაო, რომ მიწის-ძვრამ ვერა დააკლოს-რაო და ამას გარდა ბაქოს მაინც არაფერი არ დააკლდება, იქიდამ რომ ყველა სასამართლოები გადმოიტანონო.

* * *

ქალაქის რჩევის 1 მარტის სხდომაზე, სხვათა შორის განიხილეს ხმოსანის ნ. დ. ზუბალოვის წინადადება, რომ რჩევამ სამართალში მისცეს ქალაქის თავი ა. ს. მატინოვი იმის შეურაცხყოფისათვის. მცირე მოლაპარაკების შემდეგ რჩევამ, ხმოს. მეანგულოვის წინადადებით, გარდაწყვიტა, რომ ქალაქის თავის მოქმედებაში ის არავითარ უკანონობას არ ჰხედავს. ამის გამო ხმოს. ზუბალოვის წინადადები უყურადღებოდ დასტოვეს.

* * *

სოფ. მალხაზოვკიდამ გვწერენ, რომ გავლილ თებერვლის 24 ერთ იქაურ მცხოვრებ მალაკნის სახლს გასჩენია ბუხრიდამ ცეცხლი და სრულიად გადამწვარა. შემდეგ ცეცხლი მეზობლის საბძელს მოეკიდა, ისიც მოინელა და თივაც დაიწვაო; მაგრამ ამ დროს სტანციის მოსამსახურეები მოსცვივდნენ და გააჩერეს ცეცხლიო.

* * *

თფილისის სამხედრო გიმნაზიის მასწავლებელი ზ. ილინიც აპირებს ამ დიდ-მარხვაში რუსულ ლექციის წაკითხვას სპირიტურ მოვლენების შესახებ.

## უცხოეთი

(გაზეთებიდან)

**საფრანგეთი.** ინგლისური გაზ. „*Times*“-ის პარიჟელი კორესპონდენტი იწერება ამ გაზეთში, რომ ვითომ გერმანიის ელჩს საფრანგეთში, თავ. ჰოგენლოეს ეთქვას ფრეისინიესათვის, რომ თუ საფრანგეთმა გერმანიის წინაალმდეგი პოლიტიკა დაიჭირა, შესაძლებელია 48 საათის განმავალობაში შემოვიდეს გერმანიის ჯარი საფრანგეთშიო.

— სკობელევის სიტყვების შესახებ, აი რას იწერება ფრანცუზულ, გაზ. „*Unité Nationale*“, შემდეგის სტატიის სათაურით: „არ არის საჭირო კავშირი“.

„ჩვენ რა, რომ ტევტონი (ნემეცის ერი)—მტერია სლავიანებისა? ჩვენი რა საქმეა, რომ რუსეთს ომი უნდა? ვალდებულნი არა ვართ რუსეთს დავეხმაროთ, მისი ინტერესები სხვაა, ჩვენი სხვა. ტყუილად გაიძახოდნენ ჩვენს კავშირზედ რუსეთთან გერმანიის წინაალმდეგ ომში და ჩვენის ჯიბრის ამოყრაზედ ამ უკანასკნელ სახელმწიფოსადმი. იქნება ღენ. სკობელევს ჰსურდა თავის სიტყვით ჩვენი მშვიდობიანური პოლიტიკა დაერღვია. შემცდარა, თუ გონია, რომ სიტყვებით: „მტერი—ნემეციაო“—აგვაღელვებს. არ დავფარავთ ჩვენს პატრიოტულ გრძნობას; მუდამ გვახსოვს, რომ ჩვენი ძმანი ელზასში და ლოტორინგიაში იტანჯებიან დესპოტიურის მტარვალობით ნემეცებისა. და კიდეც ამიტომ სიფრთხილით უნდა გავსინჯოთ სკობელევის სიტყვები. ჩვენზედ იმედს ნუ რას დროს ნუ დაჰკარგვენ ჩვენი ძმები; ახლოა იმ სამართლიანობის აღდგენა რომელზედაც არა ერთხელ ულაპარაკნია გამბეტტას.

—

**სერბია.** სერბიული გაზ.: „Народная Защита“ იწერება სკობელევის სიტყვების გამო:

„ჩვენი სიძულვილი ნემცებისადმი კი არ არის მიმართული, არამედ გარეშე ეგოისტიურ პოლიტიკისადმი გერმანიისა, რომელიც ყოველის მხრით კარს უხშავს სლავიანთა მოთხოვნილებას და მიდრეკილებას, გამოკლებული ჰყავს ისინი იმაში, რაც კმაყოფილებით ეძლევათ ნემცებს, [illegible] ჩვეს ავსტრო-ვენგრიას [illegible] ხლმით შესწყვიტოს აჯანყება ჰერცოგოვინელებისა, გვიშლის ჩვენ ბატონად ვიყვეთ ჩვენსავე ქვეყანაში და რამოდენიმე მილიონ სერბთაგან შევადგინოთ ერთი სამეფო. გასაკვირელი არ არის, რომ სკობელევის სიტყვებმა ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენში და შემდეგშიაც იგივე გავლენა ექნებათ ამ სიტყვებს, სანამ ნემეცები არ მოიშლიან ჩვენის ხალხოსნობის შევიწროებას და აღმოსავლეთის საქმე არ გარდაწყდება. მაშინ მოისპობა პანსლავიზმი, დამშვიდდება ქვეყანა და ერნი განვითარებასა და განათლებას მიჰყობენ ხელს. მხოლოდ მაშინ იწყობს წარმატებას ნემეცების გავლენა აღმოსავლეთში და ჩვენც, სერბნი, დავეხმარებით მის გავრცელებას.“

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბე-

---

„კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო“—ამბობს დიდებული შოთა, და ეს ნათქვამი დიდი ხანია რაც ჩვენმა ცხოვრებამ ძალა-უნებურად თითქმის სრულ ჭეშმარიტებად მიიღო, ასე რომ, ეხლა ავი თუ გვიკვირს, იმიტომ გვიკვირს, რომ იგი უფრო ავი არ არის—თუმც ხანდისხან ძნელიცაა უავესის წარმოდგენა ოცნებითაც კი, როგორც ამ შემთხვევაში, რომელსაც ეხლავე მოგახსენებთ.

იმ სხდომაზედვე, როდესაც რჩევა აჰქობდა გუბერნატორის განკარგულებას, წარმოსდგა ერთი ხმოსანი და ჰრქვა „სიტყვა“ ესე:

„დიდად მოხარული და მადლობელი ვარ ბატ. გუბერნატორის ამისთანა განკარგულებისთვის. ჩემი სურვილიც ეს არის და მთელ ქალაქსაც ჰსურს, რომ „გოროდის“ (მე და ჩემმა ღმერთმა „გოროდიშ“) თვით-მმართველობა სრულიად დაიკეტოს“.

ამ სიბრძნის წარმოთქმისათანავე თავ-მომწონედ, ვითარცა ციცერონმა, მიჰმართა სეკრეტარს და უთხრა: „უმორჩილესად ვსთხოვ უფ. სეკლეტარს ეს ჩემი „რეჩი“ პროტოკოლში შეიტანოს და ყველაფერი გამოუკლებლად ჩაწეროს“*). ქალაქის თავი ლ. ასათიანი ამბობს, სასურველია, რომ თვით-მმართველობის მოსპობამდის თვით ეს ბატ. ხმოსანი მოსპობდეს ჩვენს შორის ყოფნასო. ანტ. ლორთქიფანიძე მწუხარებას აცხადებს, რომ უფლება არა აქვთ ბატ. „მორეჩეს“ განძევებისა რჩევიდამ და თუ შეიძლება, თვით მან აასრულოს რჩევის დიდი წილის გულითადი წადილი და სამარადისოდ გაბძანდეს აქედამაო. რას გაეიღოდა ნებით!

*) სურვილზე მეტიც უსრულდება ბ. „ორატორს“: ჩვენ, „შრომამ“ და „კავკაზმაც დავბეჭდეთ მისი „რეჩი“. „შრომის“ 10 №-ში დაიბეჭდება მისი „სტატია“ („ლიტერატორიც“ ყოფილა... საავლაბრო), რომელშიაც უარ-ჰყოფს თავის ნათქვამს, მაგრამ აწ „ტყუილი-დაა უკუთქმანია!“

ხმოსანი ზ. ლოლობერიძე და ანტ. ლორთქიფანიძე წინადადებას იძლევიან, რომ იმისთანა აზრის ქონებისა და წარმოთქმისათვის, ბატ. „მორეჩეს“ გამოვუცხადოთ **ჩვენი დიდი მწუხარებაო** და მასთანვე **ჩვენი დიდი გულითადი სურვილი, რომ მან დასტოვოს ხმოსნობის მოვალეობაო.** ეს წინადადება ხმის უმრავლესობით მიღებულ იქმნა და მითი გამოეცხადა „ორატორს“ თავის ამხანაგ ხმოსანთ წადილი, რომ იგი სამუდამოდ გაბრძანებულ იყო მისს საკიცხავ თვით-მმართველობის დარბაზიდამ... თქვენ იფიქრებთ ამის შემდეგ უთუოდ გაბრძანდებოდაო ბატ. „მორეჩე“. თქვენც არ მომიკვდეთ! როგორ ინებებდა გაბრძანებას, როდესაც ეს სიტყვა მას უთუოდ ალერსადაც მოესმა! „წაეთრიეთო“ რომ ეკადრებიათ, მაშინ იქნება დანძრეულიყო, ისიც უფრო შიშის გამო.

—

ჩვენდა სამწუხაროდ ეს ბატონი ერთად-ერთი არ არის ჩვენს შავ-ბედითს რჩევაში, მას ჰყავს რამდენიმეზე მეტი ამხანაგები, რომელნიც, ყველასაგან შესაცვლელად სასურველი ცენზის გამო, ხმოსნებათ დასკუპებულან ნორჩი თვით-მმართველობის დარბაზში და უფრო ვნებენ მას, ვიდრე ეწევიან. მეთაისელების ვალია მათი რაც შეიძლება მალე დაცვლა, თორემ მათს „დაჭკუიანებას“ და „ცოდნის შეძენას“ თუ უყურეს, როგორც ზოგიერთები ამბობენ, ისინი მაშინ „შეიძენენ ცოდნას“ და სისულელების თქმას თავს დაანებებენ—როგორც ამბობს სახალხო ლექსი,—

ოდეს ზღვა დაშრეს,
ქვიშა გამოჩნდეს,
თევზი მთას ვლიდეს სიარულითა;
ვირი ბზედ იდგეს,
ჯორი შვილს შობდეს,
მგელი თავს ადგეს ჭიანურითა!

ბიარბის ქალების და ყმაწვილების ავათ-მყოფობისა; ბაზაევი—მარლვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილის-ტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიარბის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაზაევი—მარლვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიარბის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაზაევი—მარლვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიარბის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაზაევი—მარლ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| | |
|---|---|
| მეადრეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოდ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—89)

ნაფიცი ვექილი

ალექსანდრე მირიანის-ძე

## ჭყონია

მიიღებს ყველა სასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: ქუთაისში, სილაზე, მ. ჭყონიას სახლში. (5—5)

## ПОКРОВИТЕЛЬ ЖИВОТНЫМЪ

Ежемѣсячный листокъ Тифлисскаго Общества покровительства животнымъ.

Подписная цѣна: въ годъ безъ пересылки 80 к., съ пересылкою—1 р., отдѣльные №№ по розничной продажѣ —10 к.

Подписка принимается въ конторѣ редакціи помѣщающейся въ торговомъ домѣ Касумова на Эриванской площади въ д. Джакели. (5—5)

### დასუიდვა ალდგომამდის

ინგლისურ მაღაზიაში.

ქუდები 1 მან., ფუფაიკები 2 მ. 50-დამ, შარვლები 4 მან. პიჯაკები 8 მან., მთელი კოსტიუმი 13—19 მან-მდი; დრაპი, მაუდი, ტრიკო, ხოთქები და ალბომები ნახევარ ფასად; ხიზალალა 1 ხარისხისა — 70 კ. და ყიდვა—1მ. 20 კ. გირვ. ტანისამოსის ჩოთქები 30 კაპ. კრესლოები—ტახტები 10, 14 და 18 მან.—კოლმანის კრახმალი 17 კაპ. გირვ., ლეპიოშკები 2 კ., თეთრეულის გამოსარეცხი პარაშოკი — 5 კაპ. პაკეთი. ამ დღეებში მივიღებთ ყველს—ჩესტრ 60 კ. გირვანქა. **ახალ-ახალი**-წმინდა და ვერცხლის სანთლები—35 და 42 კ. ინგლის. გირვ., ინგლის. და ფრანცუზ. რკინის ტახტები 10% იაფად ვინემ სხვაგან, ე. ი. საბავშო 4 მან. და სადიდო 14 მანეთიდამ. (15—3)

## ევგენი ბერნექს

ვორონცოვის წყლის ნაპირა ქუჩა, № 46, საკუთარი სახლი ქ. ტფილისში.

სადურგლო და სამალიარო ქარხიდა.

შპალერებისა და მარმარილოს და თუჯის ავეჯეულებათა. (5—1)

### იურიდიული კაბინეტი

იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზეს არხიტექტორის ბელოვის სახლში ქელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—4)

## ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასაღები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. ინგლისის მაღაზიაში. (40—34)

### საამო განცხადება.

ვისაც სურს ნამდვილი კახური ბუნებითი, არომატიული ღვინოებით დაატკბოს თვისი გემოვნება, ინებოს და მიირთვას ღვინოები „ალაზნის" სარდაფისა, სოლოლაკის ქუჩაზედ, დეკანოზის ორბელის სახლებში № 14, თავ. ირაკლი გრუზინსკის სახლის პირ-და-პირ. (6—5)

ინგლისის მაღაზიაში

თმისათ- მყუანი



მაკ-მას- ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშის 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. ჩოტკები თავის ტკავილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—99)

### ლონდონის მაღაზია კომერციუ & ბანკის ქვეშ

დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, მხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემბივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამშ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას სიგარები. (100—83)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე ისყიდება: პაროსანა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—72)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

ივაჲ-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

ბოსტნეულების და ყვავილების

## თესლები

ვაგნერისაგან, ისყიდება თეოდორ ფუნკის მაღაზიაში, სოლოლაკის ქუჩ., მირზოევის სახ., № 6, ტფილისში. კატალოგი და პრეის-კურანტი უფასოდ იგზავნება. (3—3)

25% ნაკლებ [...] ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, რაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდო- ბი, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლი- ები, სამურველი, ტანისამოსის საკე- კოვზები, დანები, კალმები, ქაღალ- კანვერტები, რვეულები, კარანდაშ- თოფები, რევოლვერები, კრაგები, პ- ჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კ- ონკა, უნაგირები, ლაგმები, უთო- ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახო- ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხ- შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღ- ნო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მ- ლაზიაში. იქვე ჩაი ვაჭართათვის ნა- დათ: ფუთობით 40, 46, 52 და მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 6 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხ- 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბო- (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრ- კიდამ—120 მან. რევოლვერები 4—3 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალ- უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დ- ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დ- დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილ- ტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფ- ბისა და რევოლვერებისა ტფილისში. (100—92)

ვრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბ- ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნ- სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემო- ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებ- გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.


### ტაქსის

აკვებაკ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქ- ნებში და დატარებით 1 მარტიდან 1 აპრილამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 13 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |

*Дозволено цензурою. Тифлисъ*, 5 *Марта 1882 г.* *Типографія Меликова* ზამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.